მელანო ბერიძე
სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა, თსუ
melanoberidze2000@gmail.com

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური TRACK 1.5 დიალოგების შედარებითი ანალიზი

საკვანძო სიტყვები: კავკასიის რეგიონი, ეთნიპოლიტიკური კონფლიქტი, მშვიდობის შექმნა– Peacemaking, სამშვიდობო ფორმატები, Track 1.5 მოლაპარაკებათა დიალოგები, 2008 წლის აგვისტოს ომი, სამოქალაქო საზოგადოება

Keywords: Caucasus Region, Ethnopolitical Conflict, Peacemaking, Peace Formats, Track 1.5 Dialogues, August 2008 War, Civil Society

კავკასიის რეგიონი თავისი სტრატეგიული გეოპოლიტიკური საკუთრებისა და მდებარეობის გამო ყოველთვის იყო ინტერესთა კონფლიქტის, ძალადობისა და ომების ცენტრი საუკუნეების განმავლობაში (Waal 2003: 39). საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები წარმოიშვა. ერთ-ერთ ასეთ მაგალითებს წარმოადგენენ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები. ისინი საქართველოს ისტორიის ყველაზე უფრო ტრაგიკული და ამავდროულად, მოუგვარებელი საკითხია. აღნიშნული კონფლიქტები საქართველოს შიდა კონფლიქტებს შორის ერთ-ერთ სერიოზული თემაა, რომლებიც ერის ერთიანობის საკითხსა და ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესს მნიშვნელოვნად აფერხებენ.

კონფლიქტების ისტორიული ქრონოლოგია ნამდვილად განსაზღვრავს და გვკარნახობს ამ საკითხით დაინტერესების საჭიროებასა და აქტუალობას. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ როგორც ქართულ-აფხაზური, ისე ქართულ-ოსური კონფლიქტი სამი ათწლეულის მანძილზე კვლავაც რჩება მოუგვარებელი და გადაუჭრელი. ამის ძირითად მიზეზს, თავის მხრივ, შესაძლოა, მხარეებს შორის კონფლიქტების დაწყების შინაარსი, მოტივი და მესამე მხარის ჩარევის გზით, ურთიერთობების მუდმივი გართულება წარმოადგენდეს. ამ უკანასკნელს ადასტურებს 2008 წელს აგვისტოში სამხრეთ კავკასიაში მომხდარი რუსეთ-საქართველოს შორის ომი. ხუთდღიანი ომის შემდეგ რუსეთის ჯარები შეიჭრნენ ცხინვალის რეგიონში და ქართული მიწის კიდევ ერთი ნაწილი მიითვისეს. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ საერთაშორისო სამართლის დარღვევის სხვადასხვა ფაქტისა და საქართველოს სუვერენიტეტში უხეში ჩარევის მიუხედავად, რუსეთი კვლავ ინარჩუნებს კონტროლს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე და აღიარებს მათ ე. წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოებად (Boonstra 2011: 1). სწორედ ამიტომ, მესამე მხარის (რუსეთის) როლის გააზრებაც „გაყინული“ კონფლიქტების შესწავლისა და ანალიზის ასპექტში, საკითხს კიდევ უფრო აქტუალურს ხდის.

30 წელზე მეტია, რაც საქართველოს მუდმივად უწევს, ქვეყნის გაერთიანებისა და სამომავლო პერსპექტივისთვის, საერთაშორისო საზოგადოებას ამ კონფლიქტების მოგვარებისა და გადაჭრის აუცილებლობა დაუმტკიცოს. ამ თვალსაზრისით, გლობალიზაციის, მაღალი ტექნოლოგიებისა და უზარმაზარი საინფორმაციო ნაკადების თანამედროვე პირობებში, რაც გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ საყოფაცხოვრებო დონეზე, დიალოგის ფასეულობის თემა პოსტკონფლიქტური სიტუაციის დარეგულირებაში კიდევ უფრო აქტუალური ხდება (ალბოროვა 2021: 29). ამ თემის განხილვა და ანალიზი მნიშვნელოვანია, აგრეთვე, დიალოგის დინამიკის, დიალოგის როგორც მშვიდობის შექმნის (ე. წ. Peacemaking) მეთოდის გააზრებისა და პროცესზე გავლენის მქონე გამოწვევების გამოსავლენად.

აღსანიშნავია, რომ ორივე კონფლიქტის შემთხვევაში (როგორც ქართულ-აფხაზური, ისე ქართულ-ოსური კონფლიქტი) მშვიდობის შექმნის ე. წ. Peacemaking-ის მისაღწევად არაერთი მეთოდი იქნა გამოყენებული. აღნიშნული კვლევა ძირითადად ეთმობა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მშვიდობის მშენებლობის პროცესში არაოფიციალური დიალოგის 1.5 არხის გამოყენებას. აღსანიშნავია, რომ Track 1.5 არაოფიციალური მოლაპარაკების დონეა, რომელიც ოფიციალური სახელმწიფო წარმომადგენლების გარდა, არაოფიციალური, სამოქალაქო საზოგადოების, სეგმენტსაც აერთიანებს (Galtung 1996: 10-35). ამ ფორმატში არაერთი მოლაპარაკებათა სერია გაიმართა კონფლიქტში ჩართულ აქტორებს შორის. მათ შორის აღსანიშნავია რამდენიმე: კალიფორნია-ირვაინის ფორმატი – ეს ფორმატი შესაძლოა დაკვალიფიცირდეს როგორც ერთ-ერთი პირველი მოლაპარაკებათა სერია ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში, სადაც 1.5 ფორმატში შეხვედრები 1997 წლიდან დაიწყო; შლაინინგის პროცესი – კლასიკურად 1.5 ფორმატში მიმდინარე პროცესია, რომელიც ასევე ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში ჩართულ აქტორების პოზიციათა უკეთ გააზრების მიზნით, ავსტრიის ქალაქ შლაინინგში შეიქმნა. აღსანიშნავია, ლაიმჰაუსის პროცესიც, რომელიც ქრონოლოგიურად აგრძელებს უკვე დასახელებული ფორმატების სერიას და 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შედარებით სხვა ფორმატში მიმდინარებს და ბოლოს Point of view („თვალსაზრისი“) დიალოგის ფორმატი, რომელიც წარმოადგენს უშუალოდ ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობის მშენებლობის პროცესს. საინტერესოა, ამდენი ხნის მანძილზე, აღნიშნული კონფლიქტების მოგვარების და მშვიდობის მშენებლობის პროცესში რა როლი შეასრულა არაფორმალური 1.5 დიალოგის ფორმატმა; რამდენად დიდია ოფიციალური პირების გარდა, სამოქალაქო საზოგადოების როლი ორივე კონფლიქტში მშვიდობის დამყარების ასპექტში. გარდა ამისა, საინტერესოა განსხვავდებოდა თუ არა არაოფიციალური დიალოგის როლი, ფუნქცია და დიალოგის შედეგები ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებში. სწორედ ამიტომ, აღნიშნული კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური Track 1.5 დიალოგების შედარებითი ანალიზი. უფრო კონკრეტულად, კვლევის მიზანია იმის გარკვევა, თუ რა როლი აქვს სამოქალაქო საზოგადოებას, არაოფიციალურ აქტორებს, ოფიცია-

ლურ პირებთან ერთად, მშვიდობის მშენებლობის პროცესში. რა არის 1.5 არაოფიციალური დიალოგის ფორმატის გამოყენების მთავარი უპირატესობა და განსხვავდება თუ არა ამ ფორმატში მიმდინარე მოლაპარაკებათა პროცესების ეფექტურობა აღნიშნულ კონფლიქტებში. კვლევის მიზანი მიიღწა რამდენიმე ამოცანის განხორციელების გზით, მათ შორის აღსანიშნავია:

დარგის ექსპერტებთან ინტერვიუირების გზით, შესწავლილ იქნა, აღნიშნული არაოფიციალური მოლაპარაკებათა სერიების თავისებურებები და ძირითადი მახასიათებლები;

ორივე კონფლიქტზე არსებული მეორეული წყაროების ანალიზის გზით, შესწავლილ იქნა აღნიშნულ თემაზე შესრულებული აკადემიური ლიტერატურა;

ორივე მხარის მხრიდან ჩართული როგორც საჯარო უწყებათა წარმომადგენლების, ისე სამოქალაქო საზოგადოების აქტორებთან ინტერვიუირების გზით, თითეულ ფორმატში, გაანალიზდა მხარეთა პოზიციები, ინტერესები და საჭიროებები მშვიდობის მშენებლობის პროცესში.

აღნიშნული კვლევა ცდილობს მთავარ კითხვას გასცეს პასუხი. კონკრეტულად, კვლევის კითხვა შემდეგნაირად ფორმირდა: რა თავისებურებებით ხასიათდება 1.5 არაოფიციალური დიალოგის ფორმატები ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებში?

საკვლევ მეთოდად შერჩეულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები – სიღრმისეული ინტერვიუ და თვისებრივი კონტენტ-ანალიზი. უფრო კონკრეტულად, სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა დარგის ექსპერტებთან და არაოფიციალური დიალოგის ფორმატებში ჩართულ აქტორებთან, ხოლო თვისებრივი კონტენტ-ანალიზის გამოყენებით, სიღრმისეულად იქნა შესწავლილი აღნიშნულ საკითხზე უკვე შემოთავაზებული აკადემიური ლიტერატურა. სიღრმისეული ინტერვიუების ასპექტში მომზადდა ტრანსკრიპტები, რომელთა კოდირებისა და კატეგორიზების შემდეგ, გარკვეული ტენდენციები გამოიკვეთა, ხოლო თვისებრივი კონტენტ-ანალიზის თვალსაზრისით, თითოეული დიალოგის ფორმატში მიღებული დოკუმენტების და ჩანაწერების ანალიზით შეივსო ის ცოდნა, რომელიც ამ თემასთან დაკავშირებით ექსპერტებისა და უშუალოდ დიალოგში ჩართული პირებისგან იქნა გადმოცემული.

რადგან კვლევა ეყრდნობა კვლევის თვისებრივ მეთოდებს, სწორედ ამიტომ გამოყენებულ იქნა მიზნობრივი შერჩევა. მიზნობრივად შეირჩა ამ საკითხებზე აქტიურად მომუშავე დარგის ექსპერტები, რომელთაც მნიშვნელოვანი გამოცდილება და ცოდნა აქვთ დაგროვებული ამ მიმართულებით.გარდა ამისა, კვლევის ერთ-ერთი შეზღუდვის გათვალისწინების მიუხედავად, ინფორმირებული თანხმობის გზით, ინტერვიუები ჩატარდა აღნიშნულ ფორმატებში უშუალოდ ჩართულ მხარეთა წარმომადგენლებს შორის, როგორც ოფიციალურ პირებთან, ისე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან.

კვლევის თეორიულ ჩარჩოდ მოხმობილ იქნა მშვიდობის დამყარების ე. წ. Peacemaking-ის სამშვიდობო თეორია და გალტუნგის პოზიტიური და ნეგატიური მშვიდობის კონცეფცია.

ლიტერატურის მიმოხილვა

მშვიდობისა და კონფლიქტების კვლევის ერთმანეთისგან სრულიად გამიჯვნა შეუძლებელია. მშვიდობის შესახებ სწავლების ერთ-ერთი სირთულე კი თავად ტერმინის განმარტებაა, კერძოდ, რას ნიშნავს მშვიდობა.

ტერმინის სირთულიდან გამომდინარე, აკადემიურ ლიტერატურაში გაჩნდა „პოზიტიური“ და „ნეგატიური“ მშვიდობის კონცეფციები, რომელთა განმარტებაც დიდწილად იოჰან გალტუნგის სახელთან არის დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ მშვიდობის იდეა ხშირად „ნეგატიური“ კონოტაციის მატარებელია და მშვიდობა განმარტებულია, როგორც „პირდაპირი ძალადობის (ომის, სამხედრო დაპირისპირების, ა. შ.) არარსებობა“ (Webel 2007: 3-13). მაშინ როცა „პოზიტიური“ მშვიდობა ჰარმონიის, თანასწორობის, სამართლიანობისა და სხვა იდეების პრაქტიკაში გადმოტანას გულისხმობს. ამ ლოგიკით, იოჰან გალტუნგი „პოზიტიურ“ მშვიდობას განმარტავს, როგორც სტრუქტურული და კულტურული ძალადობის არარსებობას. აქედან გამომდინარე, ომის/შეიარაღებული ძალადობის თუ სხვა სახის კონფლიქტის არარსებობა არ ნიშნავს, რომ მშვიდობა გვაქვს. „გაყინული“ და გაჭიანურებული კონფლიქტების არსებობა ნეგატიური მშვიდობის კარგი მაგალითია. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, კონფლიქტის მოგვარების (ხელშეკრულების/შეთანხმების ხელმოწერის) შემდეგაც დიდხანს გრძელდება მშვიდობის ნეგატიური ფაზა (Webel 2007: 397-399).

თუ მეორე მსოფლიო ომის დროს ძირითადი ყურადღება კოლექტიური უსაფრთხოებისა და განიარაღების საკითხებს ეთმობოდა, 1990-იანი წლების შემდეგ არაოფიციალური დიპლომატიის ფორმატი, არაძალადობა და სხვა მსგავსი მიდგომის შემოღების აუცილებლობა გაჩნდა.

აღსანიშნავია, რომ მშვიდობის და კონფლიქტების სწავლება, როგორც აკადემიური დისციპლინა, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან განვითარდა, განსაკუთრებით აქტუალური კი, ცივი ომის შემდეგ გახდა, როცა ქვეყნებს შორის კონფლიქტებმა ერი-სახელმწიფოების შიგნით გადაინაცვლეს (ჭანკვეტაძე 2020: 5). გარდა ამისა, სწორედ მეოცე საუკუნეში გაჩნდა ისეთი ტერმინები როგორებიცაა: „ნეგატიური“ და „პოზიტიური“ მშვიდობა (Galtung 2003: 2), რასაც 21-ე საუკუნეში დაემატა „გამარჯვებულის“, „კონსტიტუციური“, „ინსტიტუციონალური“ და „სამოქალაქო“ მშვიდობის ტერმინები (Richmond 2010: 10-20). ამ დროიდან სამშვიდობო პროცესი სულ უფრო კომპლექსური და მრავალგანზომილებიანი ხდებოდა და ჩართულობის ასეთივე სტრატეგიებს საჭიროებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მშვიდობისა და კონფლიქტების კვლევის მიდგომებზე ხშირად იწერება, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ეს საკითხი აქტუალობას არ კარგავს.

მშვიდობის დამყარება ე. წ. Peacemaking სამშვიდობო თეორიაა, რომელიც კომპლექსურ მიდგომებსა და ფართომასშტაბიან ჩართულობაზე კონცენტრირდება. სტატიაში ძირითადად ყურადღება მახვილდება სამშვიდობო არხების გზით, არაფორმალური დიალოგის როლის გააზრებაზე პოსტკონფლიქტურ სიტუაციაში. როდესაც ადამიანების უმეტესობა ფიქრობს დიპლომატიაზე, ისინი,

ავტომატურად ფიქრობენ მთავრობის წარმომადგენლებს შორის ოფიციალურ კონტაქტზე, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც Track I diplomacy. ეფექტური დიპლომატია ხშირად მოიცავს კომუნიკაციისა და მოლაპარაკებების ფორმალური და არაფორმალური არხების კომბინაციას სხვადასხვა დონეზე. დიპლომატიის გზა ძირითადად მოიცავს რამდენიმე დონეს: (I დონე) ოფიციალურ მთავრობათა შორის დიპლომატია, (II დონე) არაოფიციალური არასამთავრობო აქტორები და (III დონე) პირველი ორ დონეზე ჩართულ აქტორთა კომბინაცია, თუმცა დიპლომატიის გზა ამით არ სრულდება და ბუნებრივია, არსებობს უფრო კომპლექსური მონაწილეები ყველა დონეზე. საინტერესოა აღნიშნული კონფლიქტების Track 1.5 დიალოგის ფორმატში განხილვა.

Track 1.5 დიალოგის არხი არის დიპლომატიის დონე, სადაც მაგიდის ირგვლივ, მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლების გვერდით, დიალოგის პროცესს არასამთავრობო ორგანიზაციები, დამოუკიდებელი ექსპერტები და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებიც წარმართავენ (Staats 2019: 2-3). საინტერესოა პრაქტიკაში როგორ გამოიყურება 1.5 დიალოგის ფორმატის ფუნქციონირება. ამ თვალსაზრისით, აღნიშნული დიალოგის დონე რამდენიმე უპირატესობით ხასიათდება. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მშვიდობისა და კონფლიქტის აკადემიური კვლევის ფოკუსი ერი-სახელმწიფოს შიგნით არსებულ კონფლიქტებზე გადავიდა, არაოფიციალური აქტორების როლი, სამშვიდობო დიალოგის ფორმატებში, განსაკუთრებით გაძლიერდა. ეს შესაძლოა რამდენიმე მიზეზით აიხსნას. უპირველეს ყოვლისა, პოსტკონფლიქტურ ეტაპზე, მშვიდობის შექმნის პროცესში, არაფორმალური აქტორები მშვიდობის დამყარებისთვის უფრო მეტ მზაობას გამოხატავენ, უფრო მეტად ცდილობენ მეორე მხარის ნდობის მოპოვებას და რაც მთავარია, დიალოგის პროცესს უფრო მოქნილს ხდიან. თავის მხრივ, 1.5 დონის დიალოგის ფორმატები, სახელმწიფო მოხელეებისთვის ქმნიან სივრცეს, სადაც მათ შეუძლიათ განიხილონ მგრძნობიარე საკითხები პირადი შესაძლებლობებით, სადაც მათ შეუძლიათ გასცდნენ სამთავრობო საუბრის ველებს და გამოკვეთონ ახალი იდეები, მათი კომენტარების გასაჯაროების შიშის გარეშე. ამდენად, ეს დახურული დისკუსიები ეხმარება პოლიტიკის შემქმნელებს უკეთ გააცნობიერონ სხვა აქტორების მოტივები და ინტერესები და გაანალიზონ, თუ როგორ აღიქვამენ მათი პოლიტიკის ინიციატივებს, მათი უცხოელი კოლეგები.გარდა ამისა, აღნიშნული დიალოგის ფორმატები ქმნიან გრძელვადიანი კომუნიკაციის არხს მეორე მხარესთან. ამდენად, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, სამშვიდობო შეთანხმებები, რომლებიც ოფიციალურად ამთავრებს ომებს, არაფორმალური შუამავლების მოქმედების არეალად ტრანსფორმირდა.

დიპლომატიზაციის პროცესთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამშვიდობო როლი საქართველო-რუსეთის ორმხრივ ურთიერთობებში განხეთქილების თემას წარმოადგენდა და საქართველოს დიპლომატიური ძალისხმევა მუდმივად აქეთ იყო მიმართული. საქართველო უფრო მეტად ითხოვდა მოლაპარაკებების არსებული ფორმატის გადახედვას და კონფლიქტის ზონებში განთავსებული სამშვიდობო ძალების

ინტერნაციონალიზაციას (საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია 2009: 25-26).

აღნიშნული კონფლიქტები ხასიათდება მრავალარხოვანი დიპლომატიით, რომელშიც ჩართულია სხვადასხვა არხი. ოფიციალურ დონეზე ჟენევის მოლაპარაკებათა პროცესი ითვლება ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიან პროცესად მშვიდობის დამყარების თვალსაზრისით, თუმცა მას კრიტიკულადაც აფასებენ.

სამშვიდობო დიალოგში, რომლის მიზანიც კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება იყო, უმნიშვნელოვანესია ეუთოს და გაეროს როლიც, რომელთა ქმედებებიც ადგილზე მშვიდობის არსებობით შესაძლებლობების ფანჯრის გახსნას ითვალისწინებდა ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ მხარეებს შორის ნდობის აღდგენის დასაწყებად. პარალელურად, ჩეჩნეთში დაწყებული ომის ფონზე, რუსეთი თავს იკავებდა კავკასიაში დაძაბულობის ახალი კერების გაჩენისგან და ცდილობდა სამშვიდობო პროცესისთვის ხელი არ შეეშალა. შესაბამისად, შეიქმნა ნაყოფიერი ნიადაგი, რომ მშვიდობის შენარჩუნება თანდათან მშვიდობის მშენებლობაში გადაზრდილიყო (Allen 2018: 114-115). მათი როლიც დიალოგის პროცესის დროს გამოიხატა იმ თვალსაზრისით, რომ მათ ფასილიტაცია და მოდერაცია გაუწიეს აღნიშნულ შეხვედრებს.

ვარდების რევოლუციის შემდეგ სიტუაცია იცვლება. რევოლუციის შემდეგ, უამრავი ცდის და დიალოგის მიუხედავად, პროცესი ნელ-ნელა გაიყინა, ახალი ხელისუფლების პირობებში პროცესი მნიშვნელოვნად შემცირდა. საინტერესოა როგორ შეცვალა სამშვიდობო დიალოგის პროცესი ხელისუფლების ცვლამ. ამისთვის უმნიშვნელოვანესია თითოეული კონფლიქტი ცალ-ცალკე იქნას განხილული.

ქართულ-აფხაზური არაოფიციალური დიალოგის ფორმატი

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის წინაპირობა 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის მცდელობა იყო. აღნიშნული შიდა კონფლიქტი იმ მიზნით იყო პროვოცირებული, რომ ერი-სახელმწიფოს შიგნით დაპირისპირების გაღრმავებით, კიდევ უფრო დააშორებდა ქართველ და აფხაზ მოსახლეობას, კიდევ უფრო დააშორებდა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, საერთაშორისო არენაზე დამოუკიდებელ პოზიციონირებასთან, დემოკრატიზაციის პროცესის დამკვიდრებასთან და ზოგადად, ევროპული სივრცესთან.

1992 წელს განვითარებული მოვლენების შემდეგ, მალევე, 1994 წელს, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ოფიციალური მოლაპარაკებათა შედეგები დასრულდა. ოფიციალური სამშვიდობო დიალოგების მთავარი შედეგი იყო მოსკოვის შეთანხმებები აფხაზეთის მიმართულებით და მოლაპარაკებების ჩარჩოები, თუმცა 1997 წლამდე ხელშესახები სამშვიდობო ფორმატები არ დაწყებულა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქტორები ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში, არაოფიციალური სამშვიდობო ფორმატების დაწყებაში საერთაშო-

რისო ორგანიზაციები (მაგ. გაერო) და საგანმანათლებლო ინსტიტუტები (მათ შორის აღსანიშნავია კალიფორნიის უნივერსიტეტი) იყვნენ.

აღსანიშნავია, რომ 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან, გაერო, საერთაშორისო ორგანიზაციათაგან, სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყების პლაცდარმად იქცა. გაერო-ს მიერ ხელშეწყობილი მოლაპარაკებები მუშაობდა საერთო დღის წესრიგის შესაქმნელად და ის უფრო მეტად კრიზისის მართვის საშუალებად იქცა, არსებითი მოლაპარაკებების ხელშეწყობის ნაცვლად. ამრიგად, გაერომ ხელი შეუწყო მოლაპარაკებებს, რომლებიც გაგრძელდა ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში, თუმცა, მან ვერ დააახლოვა ქართველები და აფხაზები სამშვიდობო პროცესის საერთო გადაწყვეტის მოსაძებნად. რის შემდეგად, დაიწყო ორივე მხარის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მოწვევა, არაფორმალურ გარემოში შეკრების მიზნით.

კვლევაში მონაწილე ერთ-ერთი ექსპერტის შეფასებით, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში არაოფიციალური დიალოგების პირველ სერიად კალიფორნია-ირვაინის ფორმატი შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნული არაოფიციალური დიალოგის პლატფორმა იყო პირველი საშუალება მხარეთა შეხვედრის, მათი პოზიციებისა და ინტერესების გაცნობის თვალსაზრისით. ამ ფორმატის მთავარ დამსახურებას წარმოადგენს ისიც, რომ ამ ფორმატში თითოეული შეხვედრა იწერებოდა და ქვეყნდებოდა. ამდენად, ამ ფორმატს უფრო მეტად აკადემიური, სამეცნიერო ღირებულება აქვს.

„კალიფორნია-ირვაინის ფორმატი არაოფიციალური დიალოგის ფორმატი იყო, ამის შემდეგ ამოიზარდა შლაინინგის ფორმატი. ჩვენ (აფხაზები და ქართველები) შევთანხმდით, რომ ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთში საუბარი. რასაც ჩვენ ვლაპარაკობდით, ყველაფერს ვიწერდით, ვაანალიზებდით და ვაქვეყნებდით“ (რესპონდენტი N1).

ქართულ-აფხაზურ არაფორმალურ დიალოგებთაგან აღსანიშნავია, ასევე, კლასიკური 1.5 დონის დიალოგი – შლაინინგის ფორმატი, რომელიც კალიფორნია-ირვაინის ფორმატის გაგრძელებას წარმოადგენდა. დიალოგის პროცესს სახელი მისი ადგილმდებარეობის მიხედვით ეწოდა (ქალაქ შტადშლაინინგი, ავსტრია). პროცესი წარმოიშვა 1990-იან წლებში აფხაზურ და ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შესაძლებლობების განვითარების შედეგად. ერთ-ერთი აფხაზი კოორდინატორი თვლის, რომ შლაინინგის პროცესი იყო უნიკალური პლატფორმა არაფორმალური დიალოგისთვის კონფლიქტის ორი მხარის წარმომადგენლებს შორის.

„ფორმატი საშუალებას აძლევდა მონაწილეებს განეხილათ თავიანთი შეშფოთება და ერთად ემუშავათ ფაქტორების ანალიზზე, რომლებიც ხელს უწყობენ და ხელს უშლიან კონფლიქტის გადაწყვეტას. ის ასევე იძლევა ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობას იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ადგილზე“ (რესპონდენტი N2*).*

შლაინინგის ფორმატი 2008 წლამდე გაგრძელდა. შლაინინგის პროცესსაც ჰქონდა თავისი აკადემიური ღირებულება, რაც ითვალისწინებდა ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტის შემუშავებას. ერთი-ერთი დოკუმენტი ქართულმა მხარემ წარმოადგინა – „საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის განსა-

კუთრებული სტატუსის შესახებ“, ხოლო მერე აფხაზურმა მხარემ დაწერა – დოკუმენტი „მომავლის გასაღები“. აღსანიშნავია ისიც, რომ შლაინინგის პროცესი საქართველოს უახლოეს ისტორიაში ყველაზე უფრო კრიტიკულ და გარდამტეხ დროს დაიწყო და განვითარდა.

ექსპერტების შეფასებით, აღნიშნული ფორმატი საკმაოდ ეფექტური იყო, იქამდე, სანამ ახალი ხელისუფლება მოვიდოდა ქვეყნის სათავეში. ამ ასპექტში აღსანიშნავია ისიც რომ, საქართველოს შემთხვევაში, არაფორმალური და ოფიციალური დიალოგის ერთმანეთთან დაკავშირების გამოცდილება არაერთგვაროვანი და არათანმიმდევრულია. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, სხვადასხვა ხელისუფლება ამ საკითხს განსხვავებულად ხედავდა. შესაბამისად, ის კონკრეტული პოლიტიკური კონტექსტის მიხედვით უნდა გაანალიზდეს.აფხაზეთში კონფლიქტების დასრულების შემდეგ, ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება, საკმაოდ გახსნილი იყო არაფორმალური დიალოგისა და შეხვედრების მიმართ. ოფიციალური მოლაპარაკებებისგან განსხვავებით, სადაც მხარეები პირველივე ეტაპზე ყველაზე რთული – ტერიტორიული მოწყობის პრობლემას განიხილავდნენ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები არ მოქმედებდნენ მხოლოდ შემოთავაზებული გაიდლაინების საფუძველზე და დისკუსიის ყველა პოტენციური სცენარის მიმართულებით სტიმულირებას ცდილობდნენ. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესში ჩართულები იყვნენ როგორც მთავრობის მომხრეები, ასევე ოპონენტები კონფლიქტის ორივე მხრიდან, ვეტერანები, ჟურნალისტები და საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მომხდენი სხვადასხვა ჯგუფები (Oksana 2010: 88).

მიუხედავად მოშლილი სახელმწიფოებრივი კონტროლის მექანიზმების, ძალოვანი სტრუქტურების რეგულარული თვითნებობისა და კონფლიქტურ რეგიონებში გამუდმებული სამხედრო ინციდენტების ფონზე, იმდროინდელი სახელმწიფო პოლიტიკა მაინც ითვალისწინებდა არაოფიციალური დიალოგის ფორმატებისთვის სივრცის დატოვებას, რაც შეიცვალა ახალი ხელისუფლების მოსვლის დროს. 2003 წლის „ვარდების რევოლუციამ“ და 2004 ხელისუფლების ცვლილებამ საზოგადოებაში ახალი მოლოდინები გააჩინა. მიუხედავად სააკაშვილის ხელისუფლების უმთავრესი დაპირებისა, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებას, დემოკრატიის მშენებლობას და ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებას, იგი მმართველობის პირველივე დღიდან ჩაერთო კონფლიქტების დარეგულირების პროცესში, თუმცა მისი მიდგომები, წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, წინააღმდეგობრივი გამოდგა. იმ პერიოდში არაფორმალური სამშვიდობო დიალოგის ფორმატების ერთ-ერთი ხელმძღვანელის, პაატა ზაქარეიშვილის აზრით, 2004-2005 წლებში ქართულ პოლიტიკაში შეტანილ დადებით იმპულსებთან ერთად თვალში საცემი იყო ახალი ქართული პოლიტიკის უარყოფითი კონტექსტიც, ვინაიდან იკვეთებოდა ის პოზიცია, რაც შევარდნაძის მმართველობის პერიოდში არ შეინიშნებოდა: საქართველოს ახალი ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა, არ დაეშვა ორმხრივ, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური მუდმივმოქმედი არაფორმალური ფორმატის შეხვედრებში ქართველი პოლიტიკოსების გარდა სამოქალაქო საზოგადოების

დანარჩენი სეგმენტის მონაწილეობა (ზაქარეიშვილი 2008: 25-26). სახელმწიფოს მხრიდან სამშვიდობო პროცესის მონოპოლიზაციისა და არაფორმალური დიალოგის ამგვარი დისკრედიტაცია ნათლად ჩანს მიხეილ სააკაშვილის 2005 წლის 7 აპრილის განცხადებიდანაც: „კოკოითთან და ბაღაფშთან ერთად სხვადასხვა ქალაქში სირბილი დამთავრდა. პირადად მე არ ვაპირებ კოკოითთან და ბაღაფშთან შეხვედრას. მე ამ ხალხს არსად ჩავაკითხავ. თუ მათ რაიმე სურთ, თბილისში ჩამოვიდნენ, მივცემ სამსახურის მისამართს და სახლის ტელეფონსაც კი, მომაკითხონ და მზად ვარ, გახსნილად ველაპარაკო." (ზაქარეიშვილი 2008: 28-30).

„მოვიდა ახალი მთავრობა ნაციონალური მოძრაობის სახით, რომელმაც აჩჩია, რომ უფრო მეტად მკაფიო სიგნალები უნდა გაეგზავნა ქართულ მხარეს და არანაირი არაფორმალური დიალოგი არ უნდა ყოფილიყო. მათი დისკუსის მიხედვით, დიალოგის საჭიროებას არ წარმოადგენდა აფხაზურ და ოსურ მხარესთან, რადგან ჩვენი მტერი არის რუსეთი, რომელთანაც დიალოგს არ აქვს აზრი. ვარდების რევოლუციის გზით ახალმა ხელისუფლებამ მთლიანად ჩახსნა აფხაზური და ოსური მხარე. ამ მთავრობის დისკუსი მთლიანად იყო ანტირუსული და დიალოგის პროცესს ფუჭად მიიჩნევდა ქართულ-აფხაზურ და ქართულ– ოსურ სამოქალაქო სექტორს შორის. ისინი თვლიდნენ, რომ რუსეთი წყვეტდა ისედაც ყველაფერს და ამ არაფორმალურ დიალოგებს არ ქონდა არსებითი მნიშვნელობა" (რესპონდენტი N3).

თუ ნაციონალურმა მოძრაობამ არაოფიციალური სამშვიდობო დიალოგის საჭიროება ვერ დაინახა, 2008 წლის მოვლენებმა საერთაშორისო საზოგადოებას მისი აუცილებლობა აჩვენა. სწორედ ამის დასტური იყო ლაიმჰაუსის სამშვიდობო ფორმატიც. ლაიმჰაუსის არაოფიციალური სამშვიდობო დიალოგის მონაწილეები იხსენებენ იმასაც, რომ „ვარდების რევოლუციის" გზით მოსული ახალი ხელისუფლების ქმედების მიუხედავად, მათთვის სივრცეების სრულიად ჩაკეტვა უკვე შეუძლებელი იყო და ხელისუფლებას რაც არ უნდა მოემოქმედებინა, ამ ტიპის სამშვიდობო ფორმატები აუცილებლად გაგრძელდებოდა.

„თუ არაფორმალური დიალოგის მომხრეებს, ქართულ-ოსურ კონფლიქტზე სასაუბროდ არ გვიშვებდნენ შიგნით, ეს ძირითადად განპირობებული იყო 2008 წელს უფრო, ნაციონალური მოძრაობის, იმდროინდელი მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკით. აფხაზური კონფლიქტის შემთხვევაშიც ეცადა ამას მთავრობა, მაგრამ უკვე შიგნით ვიყავით, პროცესში იქამდე აქტიურად ვიყავით ჩართული და ეს სივრცე ველარ ჩაკეტეს" (რესპონდენტი N4).

ამრიგად, ქართულ-აფხაზური 1.5 ფორმატის არაოფიციალური დიალოგები ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ საკმაოდ ბევრს ამბობს თავად ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაწყების წინარე პირობების, კონფლიქტში ჩართული მხარეთა პოზიციების, ინტერესების, საჭიროებებისა და თავის მხრივ, ქართული ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის შესახებ.

ქართულ-ოსური არაოფიციალური სამშვიდობო დიალოგის ფორმატი

საქართველოს უახლეს ისტორიაში ხშირია კონფლიქტური სიტუაციები, რომლებიც, მიუხედავად უამრავი მცდელობისა, დღემდე გადაუჭრელი რჩება. საბჭოთა კავშირის სივრციდან გამოსვლის შემდეგ, ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაა ქართულ-ოსური კონფლიქტი, რომელიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდეგ, საქართველოს უახლოეს ისტორიაში, ერთ-ერთ ყველაზე უფრო მტკივნეულ ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტადაა აღიარებული. კონფლიქტის ისტორიული ფესვები დაკავშირებულია სამხრეთ-ოსეთის მიერ დამოუკიდებლობის აღიარებასა და შეფარვითი აქტორის– რუსეთის როლთან. უფრო კონკრეტულად, რუსეთი სეპარატისტულ რეგიონებში „თვითგამორკვევის“ პოლიტიკის დანერგვით ცდილობდა ხიდჩატეხილობის გაძლიერებას ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის და ამით ზრდიდა დაპირისპირების შესაძლებლობას მათ შორის. ამდენად, კონფლიქტის ფესვები ისტორიულ, ეთნიკურ და ტერიტორიულ დაპირისპირებებს უკავშირდება, რომელიც კვლავ გადაუჭრელია და რეგიონში დაძაბულობის წყაროა (Allen 2005: 73-161).

კონფლიქტის შესახებ ოფიციალური ნარატივების დომინირებამ ქართველების მტრის იმიჯი შექმნა. მეორე მხრივ, სამშვიდობო პროექტმა აჩვენა საკმაოდ მზაობა დიალოგისა და მოლაპარაკებებისთვის კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო პროცესისთვის. აღსანიშნავია, რომ ქართულ-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის სხვადასხვა ფაზაში დიალოგის ფორმები და მიზნები იცვლებოდა. გარდა ამისა, ამ ფორმატების შედეგიანობაც განსხვავებული იყო, რადგანაც წარმატება დამოკიდებული იყო არა მარტო დასახული ამოცანის არსზე (მათ შორის მისი ამბიციურობის ხარისხზე), არამედ იმ დროისთვის არსებულ ზოგად კონტექსტზეც. ოფიციალური დიალოგის გარდა, რაც ჟენევის ფორმატით ხასიათდება, პარალელურად მიმდინარეობდა დიალოგი სამოქალაქო საზოგადოების დონეზე, რომლის ფარგლებშიც ორივე მხარის ექსპერტები, ჟურნალისტები და სხვა პროფესიული ჯგუფი ნდობის აღდგენის საკითხებს განიხილავდნენ. მოცემული ფორმატის დიალოგის წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე გავლენას ზოგადი კონტექსტიც ახდენდა, თუმცა ნაკლები ხარისხით; ეს ზოგადი კონტექსტი, თავის მხრივ, დიდწილად განისაზღვრებოდა თბილისსა და ცხინვალს შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობების ხასიათით (გეგეშიძე 2022: 208-210).

ქართულ-ოსური სამშვიდობო დიალოგი წლების განმავლობაში იცვლებოდა შესაბამისი კონტექსტებისა და ურთიერთობების ცვლილებასთან ერთად. 2008 წლის დეკემბერში, ომიდან სულ რაღაც ოთხი თვის შემდეგ, ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის კონფლიქტების მოგვარების ცენტრში, რომელსაც „თვალსაზრისი“ ჰქვია, შეხვედრა ქართული და სამხრეთ-ოსეთის სამოქალაქო საზოგადოებების წარმომადგენლებს და ოფიციალურ პირებს შორის შედგა. მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ შეხვედრას გასული პერიოდის დიალოგის გამოცდილების მიხედვით წარმართავდნენ. ფასილიტატორებმა იზრუნეს, რომ

დღის განრიგის შედგენასა და პროცესის დიზაინში ადგილობრივი აქტორები აქტიურად ყოფილიყვნენ ჩართულები, რაც მათ ლიდერობას ამ პროცესში კიდევ უფრო გააძლიერებდა (Nan and Greiff, Jacquie L 2013: 205-207). Point of View („თვალსაზრისი") ერთადერთი 1.5 დონის ფორმატია, რომელიც ქართულ-ოსურ კონფლიქტში სამშვიდობო დიალოგის შედარებით გრძელვადიან პროცესს წარმოადგენდა. ქართულ-ოსური არაფორმალური დიალოგის ნაკლებობის მიზეზს ექსპერტები, თავის მხრივ, იმდროინდელი ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკით, მათი დამოკიდებულებებით, ოსური მხარის მიერ ნაკლები დაინტერესებითა და მესამე მხარის (რუსეთის) როლით ხსნიან. ერთ-ერთი თემატური ექსპერტი და უშუალოდ „თვალსაზრისის" პროცესში ჩართული პირი აღნიშნავს, რომ არაფორმალური 1.5 ფორმატის დიალოგისთვის მათ სივრცე ფაქტობრივად არ ჰქონდათ, განსხვავებით ქართულ-აფხაზური დიალოგის ფორმატებისგან. გარდა ამისა, რუსეთის მიერ წარმოებული პოლიტიკა არ იყო სათანადოდ ნათელი, არ იწვევდა ნდობას და შესაბამისად, ოსურ მხარეს არ უტოვებდა ქართულ მხარესთან არაოფიციალურ მოლაპარაკებებში ჩართვის შესაძლებლობას.

„ახაფოხმაღუხი დიაღოგის მომხხეებს ქახთუღ-ოსუხ კონფღიქტზე სასაუბხოდ ახ გვიშვებდნენ შიგნით, ეს ძიხითადად განპიხობებუღი იყო 2008 წეღს უფხო, ნაციონაღუხი მოძხაობის, იმდხოინდეღი მთავხობის მიეხ გატახებუღი პოღიტიკით და კიდევ იმით, ხომ სამხხეთ ოსეთი უფხო მწვავედ ახის ხუსეთზე დამოკიდებუღი, ვიდხე აფხაზეთი. აფხაზუხი კონფღიქტის შემთხვევაშიც ეცადა ამას მთავხობა, მაგხამ უკვე შიგნით ვიყავით და ეს სივხცე ვეღახ ჩაკეტეს. აქ 1.5 დონის ფოხმატის შესაძღებღობა ახ იყო. პოღიტიკა მახთავდა მთეღ სიტუაციას" (რესპონდენტი N5).

1990-იან წლებში დაწყებული ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარება დღეს სულ უფრო რთულია. მზარდი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ნაპრალები ნდობის აღდგენის პროცესში მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის. მხარეების მიერ კონფლიქტის განსხვავებული ინტერპრეტაცია, ხშირად მისი უგულებელყოფა ან სულაც მითოლოგიზაცია ორმაგად ართულებს ეფექტიანი მიდგომების პოვნას ისედაც შეზღუდული არჩევანის პირობებში. ამდენად, ქართულ-ოსური არაოფიციალური 1.5 დონის დიალოგის პლატფორმა და მისი თავისებურებები, თავის მხრივ, განპირობებული იყო კონფლიქტზე საერთო ზოგადი კონტექსტის გავლენით, მესამე მხარის (რუსეთის) როლით და ამის შედეგად ოსური მხარის ქართული მხარისადმი უნდობლობით.

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების სამშვიდობო არაფორმალური დიალოგების შედარება

კვლევის პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი მსგავსება/განსხვავება ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსური კონფლიქტების სამშვიდობო, არაფორმალური დიალოგების პროცესში. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია,

რომ კონფლიქტების დაწყება და არაოფიციალური დიალოგის ფორმატების განვითარება, განსაკუთრებით, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში (21-ე საუკუნის დასაწყისი) ერთმანეთის თანმდევი პროცესია. გარდა ამისა, ორივე კონფლიქტში რუსეთის ფედერაციის ღია თუ ფარული ქმედებები გავლენას ახდენდა არაოფიციალური დიალოგის ფორმატებში ნდობის გაძლიერებისა და განვითარებაზე. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი გეოგრაფიულად ახლოს მდებარე ტერიტორიებია, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს ნდობის მსგავსი ატმოსფეროს მობილობასა და დიალოგის პროცესში მეორე მხარის პოზიციათა საერთო გააზრებას (იგულისხმება ქართული მხარე).

კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად სამშვიდობო დიალოგების მსგავსებებისა, არსებობს მნიშვნელოვანი და ყურადსაღები განსხვავებებიც. უპირველეს ყოვლისა ეს განპირობებულია კონფლიქტების დაწყების შინაარსობრივი თავისებურებებით, მხარეთა ჩართულობითა და დაინტერესებით. ქართულ-აფხაზური არაოფიციალური სამშვიდობო დიალოგები ხასიათდებოდა მხარეთა წარმომადგენლების უფრო მეტი ჩართულობით და სამშვიდობო პროცესით დაინტერესებით, რასაც ვერ ვიტყვით ქართულ-ოსურ არაფორმალურ დიალოგზე.

„აფხაზები უფრო კომპეტენტურები იყვნენ. ძალიან მომზადებულები ჩამოდიოდნენ აფხაზები დიალოგების ფორმატების წარმართვის დროს. ოსებს ასეთი გამოხატული მიზანი არ ქონიათ. მათ აფხაზებისგან განსხვავებით, ზუსტად იციან, რომ მათი დამოუკიდებლობა არ გამოვა, რომ ეს შეუძლებელია. არსებობს რამდენიმე ვარიანტი მათთვის: ან საქართველოსთან შეერთება, ან რუსეთის ანექსია და მათ ნაწილად გახდომა, თუმცა რუსეთს არ უნდა ოსეთის მიერთება. რუსეთმა იცის, რომ თუ დაკარგავს სამხრეთ ოსეთს, დაკარგავს მთელ საქართველოს. რუსეთი გვაშინებს, რომ თუ ჩვენ ავირჩევთ ნატოს გზას, აფხაზეთს და ოსეთს მიიერთებს. ხოლო აფხაზეთს ეუბნება, თუ თქვენი მეზობელი საქართველო წავა ნატოში, თქვენ წაგართმევთ დამოუკიდებლობას და მიგიერთებთ“ (რესპონდენტი N6).

განსხვავებულია პოლიტიკური რეალიებიც. მაშინ როცა სამხრეთ ოსეთში სამოქალაქო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი მედიის საქმიანობის არეალი ძალიან შეზღუდულია, ისინი ხელისუფლების ძლიერ ზეწოლას განიცდიან. აფხაზეთში ორივე შედარებით განვითარებულია და ავტონომიურია, რაც თავის მხრივ განაპირობებს სწორი ინფორმაციის მიმოცვლას და შესაბამისად, სამშვიდობო დიალოგებში ჩართვის სურვილსაც. აღსანიშნავია ისიც, რომ სამხრეთ ოსეთის ამჟამინდელი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ეთნიკური ოსია, აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურა უფრო მრავალფეროვანია. ეთნიკური აფხაზები უფრო მეტად სჭარბობენ. აფხაზეთში შედარებით დიდია ქალაქის მოსახლეობისა და უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალის წილი, შესაბამისად მას უფრო მეტად აქვს ეკონომიკური პოტენციალი და „ნაკლები“ კონტროლი რუსეთის მხრიდან. მნიშვნელოვანი ამ ასპექტში აღინიშნოს ისიც, რომ სამხრეთ ოსეთში მოხდა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის პოლიტიკური ლიდერების მარგინალიზაცია/მათი ფაქტობრივი განდევნა. აფხაზეთში კი, მიუხედავად მმართველობის ეთნოკრატიული

ხასიათისა, პოლიტიკური კონკურენციის ელემენტები არსებობს. ასევე აფხაზეთში დასავლურ არასამთავრობო ორგანიზაციებს მუშაობის შესაძლებლობა აქვთ, ხოლო დასავლელ დიპლომატებს დროდადრო ჩაესვლებათ სოხუმში, რაც, ფაქტობრივად, გამორიცხული იყო ცხინვალში (ზაქარეიშვილი 2021: 79-80). შესაბამისად, არაფორმალურ სამშვიდობო დიალოგებში უფრო მეტად არის ჩართული აფხაზური მხარე, ვიდრე ოსური; უფრო მეტად არიან დაინტერესებული აფხაზები აღნიშნული პროცესით, ვიდრე ოსები. ამდენად, არაოფიციალური დიალოგებისთვის სამშვიდობო პროცესში ჩართულ, როგორც ქართულ, ისე აფხაზურ და სამხრეთ ოსურ, მხარეთა მზაობაზე რამდენიმე გარე თუ შიდა ფაქტორები ზემოქმედებენ.

დასკვნა

დასკვნის სახით აღსანიშნავია, რომ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების 1.5 არხის არაოფიციალური სამშვიდობო დიალოგის ფორმატები გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, რასაც, თავის მხრივ, კონფლიქტის შინაარსი, მხარეთა პოზიციები/ინტერესები,მესამე მხარის გავლენა, ხელისუფლების ცვლასთან ერთად სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება და საერთაშორისო საზოგადოების დაინტერესება განაპირობებს. კვლევიდან იკვეთება, რომ მცირე დროითი სხვაობისა და გეოგრაფიული სიახლოვის მიუხედავად, ორივე შიდა კონფლიქტი ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით. დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ამ თავისებურებების გათვალისწინება და გონივრული, გრძელვადიანი და მდგრადი სამშვიდობო სივრცის შექმნა/არაოფიციალური სამშვიდობო დიალოგის ფორმატების გაძლიერება, რათა საქართველოში „გაყინული“ კონფლიქტები დასრულდეს და ოფიციალური სამშვიდობო მოედნის გარდა (ჟენევის ოფიციალური მოლაპარაკებები), არაოფიციალურ დიალოგში ჩართულმა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ მშვიდობის შექმნის/დამყარების პროცესში.

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა:

- **ალბოროვა 2021:** ალბოროვა დინა, ქართულ-ოსური კონფლიქტის გადაჭრის მექანიზმები და დიალოგის ახალი გამოწვევები, თბილისი, ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტი, 2021;
- **გეგეშიძე 2022:** გეგეშიძე არჩილ, კონფლიქტების ტრანსფორმაცია საქართველოში: როგორია კვლევის დღის წესრიგი საქართველოში? თბილისი, გამომცემლობა შპს „დეიზი“, 2022;
- **ზაქარეიშვილი 2008:** ზაქარეიშვილი პაატა, როგორ სპობდა ნაბიჯ-ნაბიჯ „ვარდების ხელისუფლება ქართულ-აფხაზური არაფორმალური შეხვედრების პროცესს“, თბილისი, გაზეთი რეზონანსი, #256-257, 2008;
- საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია, ანგარიში, II ტომი, თბილისი, 2009;
- **ჭანკვეტაძე, ბურსულაია, მურუსიძე 2020:** ჭანკვეტაძე ნათია, ბურსულაია გურანდა, მურუსიძე ქეთი, მშვიდობის და კონფლიქტების სწავლების განვითარება:

საბასიზო სახელმძღვანელო, თბილისი, ჰაინრიხ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისი, 2020;

- **Allen 2005:** Allen Suzan,"Track One-and-a-Half Diplomacy: Contributions to Georgian-South Ossetian Peacemaking." In Paving the Way: Contributions of Interactive Conflict Resolution in Peacemaking", Lanham, Maryland: Lexington Books, 2005;
- **Allen 2018:** Allen Suzan, Modes of Peacemaking Practice In Peacebuilding through Dialogue: Education, Human Transformation, and Conflict Resolution, edited by Peter Stearns, George Mason University Press, 2018;
- **Boonstra, Melvin 2011:** Jos Boonstra, Neil Melvin,Challenging the South Caucasus security deficit. Documentos de Trabajo FRIDE, (108), 1. Retrieved 25 August, 2023 from: http://fride.org/download/WP108_South_Caucasus_Eng.pdf
- **De Waal T 2003:** De Waal Thomas, Black garden. Armenia and Azerbaijan through peace and war, New York/London. Council on Foreign Relations, 2003;
- **Galtung 1996:** Galtung Johan, Peace by peaceful means: Peace and conflict, development and civilization, SAGE Publications Ltd (Vol. 14), 1996;
- **Galtung 2003:** Galtung Johan, Positive and Negative Peace, School of social science., 2023;
- **NanAllen, Greiff 2013:** Susan Allen Nan, Jacquie L. Greiff, Basic Human Needs in Practice: The Georgian-South Ossetian Point of View Process, In Conflict Resolution and Human Needs: Linking Theory and Practice, edited by Kevin Avruch and Christopher Mitchell,. New York: Routledge, 2013;
- **Oksana 2010:** Oksana Antonenko, Failures of the Conflict Transformation and Root Causes of the AugustWar, In Failed Prevention – The Case of Georgia, National Defence Academy and Bureaufor Security Policy &PfP Consortium of Defence Academies and Security Studies Institutes, 2010;
- **Richmond 2010:** Oliver P. Richmond, Peace in International Relations, Routledge studies in peace and conflict resolution, 2010;
- **Staats, Walsh, Tucci 2019:** Jennifer Staats, Johnny Walsh, Rosarie Tucci, A Primer on Multi-track Diplomacy: How Does it Work? USIP experts look at the increasing use of track 1.5 and track 2 dialogues to address global challenges, United States Institute of Peace, 2019;
- **Webel 2007:** Webel Charles, Introduction Toward a philosophy and metapsychology of peace. In: C. W. a. J. Handbook of Peace and Conflict Studies. s.l.:Routledge, 2007;
- **Webel 2007:** Webel Charles. Peace and conflict studies Looking back, looking forward. Handbook of Peace and Conflict Studies.s.l.: Routledge, 2007;
- **Zakareishvili 2021:** Zakareishvili Paata, Vision: Conflicts in Georgia 2012-2016. Tbilisi: Friedrich-Ebert-Stiftung, 2021.
- რესპონდენტი N1: ერთ-ერთი დიალოგის მონაწილე, კაცი, 26.08.2023;
- რესპონდენტი N2: თემატური ექსპერტი, ქალი, 28.08.2023;
- რესპონდენტი N3: თემატური ექსპერტი, კაცი, 29.08.2023;
- რესპონდენტი N4: კაცი, ერთ-ერთი დიალოგის მონაწილე 30.08.2023;
- რესპოდენტი N5: თემატური ექსპერტი და ერთ-ერთი დიალოგის მონაწილე, კაცი, 1.09.2023;
- რესპონდენტი N6: ერთ-ერთი დიალოგის მონაწილე, ქალი, 3.09.2023.

Melano Beridze
MA Program in Social and Political Science (Public Policy & Administration), TSU

COMPARATIVE ANALYSIS OF GEORGIAN-ABKHAZIAN AND GEORGIAN-OSSETIAN TRACK 1.5 DIALOGUES (SUMMARY)

The analytical article explores the comparative analysis of Track 1.5 dialogues in the Georgian-Abkhazian and Georgian-Ossetian conflicts. The Caucasus region's strategic geopolitical importance has led to unresolved conflicts, particularly the Georgian-Abkhazian and Georgian-Ossetian conflicts, hindering national unity and democratization. The conflicts have remained unresolved for over three decades, exacerbated by third-party intervention, notably Russia's role in the 2008 war.

The study focuses on Track 1.5, an unofficial negotiation level involving both state representatives and civil society actors. Various formats, such as the California-Irvine, Schlining, Limehouse, and Point of View dialogues, are analyzed to understand the role of civil society in the peace-building process and whether the effectiveness of informal dialogue differs between the two conflicts. The research employs qualitative methods, including in-depth interviews and content analysis of secondary sources.

Theoretical frameworks, such as Johan Galtung's concepts of positive and negative peace, guide the analysis. Positive peace involves harmony, justice, and equality, while negative peace pertains to the absence of direct violence. The article discusses the evolution of peace and conflict research, emphasizing the importance of unofficial diplomatic formats like Track 1.5.

The Georgian-Abkhaz informal dialogues, initiated in the mid-1990s, involved international organizations and educational institutions. The California-Irvine and Schlining formats facilitated dialogue between conflicting parties until 2008, with effectiveness influenced by government changes. The Rose Revolution in 2003 and the subsequent government impacted the willingness to engage in informal dialogues.

The Georgian-Ossetian conflict, arising from historical, ethnic, and territorial disputes, faced challenges in creating informal dialogue spaces. The lack of clarity in Russia's role and the Ossetian side's distrust limited informal negotiations. The study highlights the difficulty in resolving the Georgian-Ossetian conflict due to political, social, and economic fissures. Comparing the two conflicts, the research identifies similarities and differences. Both conflicts involve third-party influence, but the Georgian-Abkhaz dialogues exhibit greater participation and interest from the parties. Political realities, civil society engagement, and international involvement vary between Abkhazia and South Ossetia, influencing their readiness for informal dialogues.

In conclusion, the article emphasizes the need to consider conflict-specific factors and create sustainable peace spaces. Acknowledging the peculiarities of each conflict is crucial for establishing effective unofficial dialogue formats and contributing to the resolution of "frozen" conflicts in Georgia alongside official peace negotiations.